№ 88

ხუთშაბათი, 27 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 88

ხუთშაბათი, 27 აპრილი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**სალომე პეტრეს ასული ყიფიანისა, გიორგი და პეტრე ყიფიანები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა პირველის მეუღლისა და მეორეთ მამისა **იოსებ ყიფიანისა** დანიშნულია შაბათს, 29 აპრილს, ს. ყიფიანთ-უბანს, სადაც სთხოვენ მობრძანდნენ. (1 - 1122—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**
(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ტფილისის სათავ.-აზნ. ბანკის თეატრი.

დღეს, 27 აპრილს, დანიშნულია **მეორე** და უკანასკნელი

## კონცერტი
## ანჯელო მაძინისა.

დასაწყისი 8½ საათზედ.
**ფასები დაკლებულია.**

ბილეთები ისყიდება **მირიმანიანის** მუსიკალურს დეპოში, სასახლის ქუჩზედ. (1—1206—1).

ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ტფილისში, თანხმად ცხენის ბაზრის შესახებ დებულებისა, რომელიც არის დამტკიცებული კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ, ცხენის ბაზრობა დაიწყება ხუთს მაისს 1895 წლისა და გასტანს 18 მაისამდე. ამიტომ ქალაქის თვითმმართველობა უმორჩილესად სთხოვს მაზრების უფროსებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ აუწყონ მცხოვრებლებს ზემორე აღნიშნული დრო ცხენის ბაზრის გახსნისა და მით ხელი შეუწყონ ცხენების მოშენების საქმეს კავკასიაში.

(3—6.—1)

## კაბინეტი კბილის ექიმთა
**ვ. ი. ჭიჭინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ზდა საღამოს 4—7 საათამდე.

1895

## „მოამბე“

თვიური ჟურნალი
(წელიწადი მეორე)

გამოვა უოველ თვის პირველ რიცხვებში
ი მ ა ვ ე პ რ ო გ რ ა მ ი თ.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
| --- | --- | --- | --- |
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція «**Моамбе**».

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს:

მარიამ ივანეს ასულმა კნეინა ამილახვარისამ: ხუთი წყვილი ოქროსი და ოთხი წყვილი ფირუზის ღილი, ორი ვაზა ბროლისა, ორი ვაზა ყვავილისა, ოთხი პრესპაპიე, ხელით ნაქარგი ატამი, ვაშლი, მსხალი, კუდა ორი შუბლის ქინძისთავი ალმასისა.

დარიკო გიორგის ასულმა ხუნდაძისამ: ნაქარგი ბალიში ღირებული 12 მ., ნინო ივანეს ასულმა მგელაძისამ: ლამპარი და ორი ქიქა.

თამარ სოლომონის ასულმა ქართველიშვილისამ: ორი ლამპარი, ოთხი ვაზა, ერთი ბადია ყურებიანი, ერთი შუშის ხახალი, ერთი სასუხრე და ერთი აბრეშუმის შალი; აბულაძემ ორი ბჭყვრიალა ვაზა და ქ-მა მელანია წილოსნისამ: ორი ვაზა, ოთხი ხახალი, ერთი სასუხრე, ერთი ფინჯანი და ერთი წყვილი შუშის საფერფლე.

## ახალი ამბავი

*** გარდაცვალებულის კ. ბარბარა ჯორჯაძის ქალიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი:

„დიდად მადლობელი ვართ ყველა იმისი, ვინც გამოგზავნილის დეპეშით ან წერილით რედაქციისა და განსვენებულის პატივის-მცემელთა სახელობაზედ ნუგეში გვცეს დედისაგან დაობლებულთა. აგრეთვე მადლობელი ვარ ყველა იმათი, რომელმაც ნუგეშის გარდა სხვა შემწეობაც აღმოუჩინეს და მით პატივი-სცეს განსვენებულს დედა-ჩემს.

მანანა ჰეხტმანისა.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შეუკრებია პოეტის ნიკ. ბარათაშვილის დაუბეჭდავი წერილები და ჰსურს ხხვა დაბეჭდილ წერილებთან ერთად გამოსცეს. („ნოვ. ობოზ.“)

*** „ნოვ. ვრემიას“ სიტყვითაო, დეპეშით სწერენ გაზ. „ნოვ. ობ.“-ს, ფინანსთა სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომ ლსაც მინდობილი აქვს კავკავისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზების შეერთების შესახებ მოლაპარაკება. კომისიაში მოწვეულია გენერალი სტებნიცკი.

## ფელეტონი

### საშინელი ბრძოლა.

კომედია 5 მოქმედებად.

(ვუძღვნი ქართველს ქალებს).

(შემდეგი *)

მოქმედება მეოთხე.

(სცენა წარმოადგენს კაბინეტს მეორე მოქმედებისას. მენიკო ზის ჩაფიქრებული; ვარლამი გაჯავრებული დადის).

გამოსვლა პირველი.

ვარლამი და მენიკო.

ვარლამი. მართალი გითხრა, დიდად მომაბეზრა თავი შენმა დაუსრულებელმა ტირილ-ჟივილმა და გმინვა-გოდებამ... უკვე რამდენიმე თვეა, რაც ცოლად შეგირთე და ერთს ბედნიერს დღეს ვერ ვღირსებივარ... ვერ ვღირსებივარ მისთანა წამს, რომ შენ შუბლი გახსნა და ერთი პირ-მცინარედ გამოიხედო ჩემკენ...

მენიკო. ღმერთო ჩემო, როგორ ვიტანჯები! (ახველებს).

ვარლამი. ხველება, გულის სისუსტე, ჰლექი—ეგ ხომ ეხლა მოდაშია!.. ეგრედ წოდებულ მშვენიერ და სუსტ ქმნილებათ ეკუთვნის მათი შემოღება...

მენიკო. რისთვის მტანჯავ ადამიანო, რად მაწამებ ეგრე ურიასავით? მაცალე სიკვდილი—ხომ ხედავ დღენი დათვლილი მაქვს! (ხველა მოერევა).

ვარლამი. დეე, მოკვდეს ვინც სასიკვდილოა!.. ნუ თუ გგონია, რომ ტირილ-ჟივილი და წუწუნი ცხოვრებაში გამოსადეგი იარაღია? ნუ-თუ გგონია, რომ ქვეყნიერება თბილი ბუმბულია სუსტ ადამიანისათვის საკოტრიალოდ გაჩენილი? ნუ-თუ გგონია, რომ მთელი კაცობრიობა გულ-მომტკივნე ჰირის-უფალი უნდა იყოს ამ სუსტის ადამიანებისა? სცდები, დიდად სცდები!.. ვინც განგებ თავს არ იბრმავებს, ის ნათლად ჰხედავს დღეს, რომ ჩვენი ცხოვრება საშინელი ბრძოლის ველია... აბა გაიხედე ამ ველზედ: ადამიანთა სისხლის ნაკადული ჩანჩქერივით გადმოსჩუხჩუხებს... მთელი ველი ბრძოლაში დამარცხებულ ადამიანებით არის მოფენილი: ზოგი უკვე უსულო გვამად გამხდარა, ზოგიც უკანასკნელს წამებშია, სიკვდილს ებრძვის...

მენიკო. ღმერთო, რა საშინელი სურათია! რაღაც ჯოჯოხეთურმა სიცივემ შეიპყრო მთელი ჩემი არსება!..

ვარლამი. თავდება ბრძოლა და იცი ვის რჩება გამარჯვება?—იმას, ვინც მედგრად, გულადად იბრძოდა-ვინც კბილებით და კლანჭებით ებღაუჭებოდა თავისს უფლებას, თავისს ადგილს ცხოვრების ნადიმზედ... შე, ნისთანა გულ-სუსტნი და მტირალნიკი სულ ერთიანად გაითელნენ ბრძოლის ველზედ... შენისთანების ძვლებზედ ააგეს თავიანთი დიდება უშიშარ მებრძოლთა... ბარაქალა გამარჯვებულნო! გრცხვენოდეთ სუსტნო, მტირალნო!

მენიკო. მერე სად შეითვისე ესეთი შეხედულება ცხოვრებაზედ? რომელს წიგნში ამოიკითხე ეგ შემზარავი მოძღვრება?

ვარლამი. იმ წიგნში, ქალბატონო, რომელსაც ნამდვილის ცხოვრების წიგნი ჰქვიან და იმ წიგნებშიაც, რომელსაც სწერენ ჭკუა სალი, ფხიზელი და პირუთვნელი ადამიანები!..

მენიკო. მაშ, შენ თანაუგრძნობ იმ მწერლებს, რომელნიც გვიხატავენ მხოლოდ ცხოვრების საშინელებას, მის თავ-ზარ დამცემს მხარეს და იმ გვარს ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ კაცის სახე-ღა შერჩენიათ? მაშ შენ გჯერა კაცის მგლობაც?..

ვარლამი. დიაღ, მე მჯერა სინამდვილე... მე მიცხოვრია და კარგად მესმის ცხოვრება...

მენიკო. ღმერთო ჩემო, ნუ-თუ ყველა ნასწავლი კაცები, ყველა პატიოსანი ადამიანები შენის აზრისა არიან?! არა, ღმერთმა ნუ ქნას ქვეყნის დამხობა! მე ვიცი, რომ ყველა შენსავით არ ფიქრობს...

ვარლამი. შემიფურთხებია მათის აზრისთვის! (აფურთხებს) ვინც ძალით თავს არ იბრმავებს, იმას ცხოვრება ჩემსავით ეჩვენება... ვინც ბრიყვი და უგუნურია, ის ოცნების ფრთებით დაფრინავს, ის ჯოხის ცხენით, როგორც უსუსური ბალღი მყინვარის წვერში დანავარდობს... დეე, ინავარდოს, სანამ ბალღია!.. მისი რიგიც მოვა: კისრით გადმოაბრძანებენ მას მყინვარიდგან ძლიერნი და გასრესენ, ვითარცა ოცნებით დასუსტებულს ადამიანს...

მენიკო. კმარა, გთხოვ შემიბრალო! დაანებე თავი მაგგვარ სურათების წარმოდგენას... მაცალე სიკვდილი...

ვარლამი. ხა, ხა, ხა! სინამდვილეს არიდებ განა თვალს! შებრალების ღირსიც არა ხარ, სუსტო ადამიანო!

მენიკო. მერე ვინ დაგატანათ ძალა, ბატონო ჩემო? რად შემირთეთ ცოლად ეგრე სუსტი ადამიანი?

ვარლამი. რად შეგირთე? სწორედ სიმართლე გაქვს ეგ საყვედური მითხრა... მეც ვიცი, რომ შენის შერთვით ძალიან შევცდი... თავის დღეში არ მივუტევებ მე ჩემს თავს ამ შეცდომას... მე ვეძებდი ცხოვრების თანამოგზაურად სუსტს, მტირალს ქმნილებას-კი არა, ჩემებრ გულადს, უშიშარს და ბეჯითს მებრძოლს, მოხდა-კი ისე, რომ ამოგირჩიე ისეთი ადამიანი, რომელსაც არ გინდა გაიგო ჩემი გასაჭირი, ჩემი გულის ტკივილი, ჩემი კარგი და ავი... აი, ხვალზეგ უნდა გარდაწყდეს ჩემი ბედი: უნდა დირექტორად ამომირჩიონ, ან გამაშავონ... საშინელს მდგომარეობაში ვარ... თუ მაჯობეს ჩემმა მოწინააღმდეგეებმა, გამაშავეს, ხომ იცი ჩემის თავ-მოყვარეობის ამბავი, დამბ.ჩ ს ვიკრავ შუბლში. მე ახლა დღე და ღამ არა მძინავს—ვმეცადინეობ, რომ მოვემზადო ბრძოლისათვის... ხვალ წვეულება მაქვს, დაპატიჟებული მყავს ყველა ჩემი მომხრე მეკენჭეები... შენ კი ჰზიხარ და ისე გულ-ცივად შეჰყურებ ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობას, თითქოს მე შენთვის ვინმე გარეშე კაცი ვიყო და არა ქმარი. რიგიანობა მოითხოვს, რომ გვერდში მიდგე და ჩემთან ერთად ეწეოდე მძიმე ტვირთს, რომ ჩემს მაგიერობასაც სწევდე ყველაფერში...

მენიკო. თქვენ უთუოდ გნებავთ, ბატონო, რომ მონაწილეობა მიმაღებინოთ მეკენჭეების მოქრთამვაში? თქვენდა სამწუხაროდ, მაგის ნიჭი ღმერთს ჩემთვის არ მოუცია!..

ვარლამი. (შეუტევს) ვისაც არაფერი არ შეუძლია, არაფრის ნიჭი აქვს, ის სიცოცხლის ღირსიც არ არის, გესმის თუ არა ქალ-ბატონო!

(მენიკოს ხველა მოერევა და ქვითინებს; შემორბის სევასტი).

გამოსვლა მეორე.

იგინივე და სევასტი.

სევასტი. გაუმარჯოს, გაუმარჯოს ჩვენს პარტიას! გაუმარჯოს ვარლამ ელიაძეს!

ვარლამი. (მიეგებება) შენც დაბრუნებულხარ, ჩემო სევასტი? აბა რით გამახარებ?

სევასტი. გამარჯვება ჩვენია! უთუოდ გავიტანთ ლელოზედ ბურთს... დავასხამთ თავზედ ლაფს ჩვენს მო-

(* იხ. „ივერია“ № № 82, 83, 84, 85, 86, 87.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქუთაისში გზავნის სატყეო ინსტიტუტის ზოოლოგიას კათედრის ასისტენტს შევიროვს, რომელმაც თავისს გამოგონილი წამალი უნდა გამოსცადოს. ეს წამალი ვაზის ჭიების საწინაალმდეგოა.

*** გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ სწერს, რომ ჩვენს რედაქციაში მოვიდა ერთი კავთისხეველი (გორის მაზრა) გლეხი, რომელმაც შემოგვჩივლა საოცარი ამბები თავიანთ შეგნებულ მამასახლისზედ. ამას წინად კავთისხეველებს მთავრობისაგან მიუღიათ თურმე მოწერილობა, რომ ჩქარა შემოეტანათ „ნედოიმკები“, რომელიც სულ ხუთას თუმნამდის იქნებოდა. ამან ძალიან გააოცა კავთისხეველები, რადგანაც მათ კაი ხანია, რაც სავალდებულო ნედოიმკები წვრილ-წვრილად გადაეცათ მამასახლისისათვის, რომელიც ძალასაც-კი ატანდა. საქმის გასაგებად 403 გლეხი ჩამოსულა ტფილისში და აქ, სახელმწიფო პალატაში გაუგიათ, რომ ეს ახალი გარდასახადი არ არის, ძველი ნედოიმკებიაო. ამის შემდეგ გლეხებმა გუბერნატორს მიჰმართეს და აუწყეს ეს ამბავი. გუბერნატორს ადგილობრივი გამოძიება დაუნიშნავს. სასურველი იქნებაო, რომ კავთისხეველ მამასახლისის მზგავსებს შეგნებულთ არ უწოდებდნენ, რადგანაც სულით და გულით შეგნებულთ ჩირქი ეცხებათო და არავითარი დანაშაული არ მიუძღვითო.

*** ახალ-სენაკი: დიდად შეგვაწუხა ჩვენის მწერალი ქალის კნ. ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალებამ. ორშაბათს, 24 აპრილს, პანაშვიდი უკვე იქმნა გარდახდილი მის ნიჭის პატივ-მცემლებისაგან ახალ-სენაკის წმიდის გიორგის ეკკლესიაში მღვდლის მ. ივანე ჩარგეიშვილის-მიერ. პანაშვიდზედ ბლომად დაესწრო ახალ-სენაკის საზოგადოება, როგორც კაცები აგრეთვე ქალებიცა...

*** დაბა ელენოვკა: აგერ ერთი თვე სრულდება და განუწყვეტლივ დღე-და-ღამ თოვს და წვიმს. ისეთი თოვლი მოდის, რომ იანვარში არ გვინახავს. ღამის სახლები თავზედ დაგვექცეს. საქონლის საჭმელი შემოელიათ და ბალახს თავი ჯერ არ ამოუყვია. ხალხი გაჭირვებაშია.

*** ქ. პიატიგორსკი: წელს აქ ზამთარი თუმცა კარგი და ზომიერი იყო, მაგრამ ამ გაზაფხულმა-კი სწორედ თავი მოგვაბეზრა. არ შეიძლება ხან თოვლი, ხან წვიმა და ხან ქარი შხალი არ მოგვივლინოს. აპრილში ისე აცივდა, რომ მთელს ზამთარშიაც არ გვიგვრძნია ასეთი სიცივეები.

*** ქ. განჯა: ჩვენის ქალაქისთანა მივიწყებული და უსუფთაო ქალაქი მგონი მეორე აღარ მოიპოვებოდეს კავკასიაში. ქუჩები ტალახიანია და ღამ-ღამობით-კი ისე ბნელი, რომ კაცს შეზარავს. უყურადღებობის გამო აქაური მაჰმადიანები გათამამებულნი არიან და ძარცვა-ქურდობით შეგვაწუხეს. კარგი იქნება ადმინისტრაცია ყურადღებას მიაქცევდეს ამ საქმეს.

—

## შეცდომის გასწორება.

წერილში „ტფილისის საბჭოს კრება“ მეორე სვეტის მე-15 სტრიქონში სწერია: „მოიწონა ევანგულოვის წინადადება,“ უნდა იყოს: მოიწონა „დოლუხანოვის წინადადება.“

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. შემოქმედი.** ეს სოფელი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი სოფელთაგანია მთელს ოზურგეთის მაზრაში. სწორედ ნამდვილი საზაფხულო ადგილია. მდინარე ბჟუჯი ჰყოფს ამ საზოგადოებას ორ ნაწილად, მარჯვენა და მარცხენად, რომლებშიაც მისვლა-მოსვლა, როგორც ფეხით, ისე ურმითა და ცხენით აუცილებელი ყოველ-დღიური საჭიროებაა ორთავე მხარისთვის. ერთის მხრივ არის მონასტერი და ტყე, მეორის მხრივ სოფლის სასწავლებელი, კანცელარია და დუქნები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მდინარეზედ დღემდისაც არ არის იმისთანა ხიდი, რომელზედაც ხალხს ურმითა და ცხენით შეეძლოს გასვლა-გამოსვლა, თუმცა-და-კი შეიძლება მკვიდრი ხიდი გაკეთდეს. ეხლა, როგორც გავიგეთ, მგონი ბოლო უნდა მოეღოს ამ ნაკლს. ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს უცნობებია ქუთაისის გუბერნატორისთვის და გუბერნატორსაც მოუწერია მაზრის უფროსისათვის ამის შესახებ, ცნობა გამომიგზავნეო. იმედია, ბ. მაზრის უფროსი ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს, უმაღლეს მთავრობას ყველაფერს კარგად აცნობებს და მისის შემწეობით ჩვენ ხიდი გაგვიკეთდება.

მეორე სასიამოვნო ამბავიც შევიტყეთ: გასულს წელს ჩვენმა საზოგადოებამ გარდასწყვიტა, რათა სასოფლო სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაეკეთებია, და ეს გარდაწყვეტილება გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო დასამტკიცებლად; ეხლა, როგორც გავიგეთ, ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება ჩვენს სოფელში მთავრობას დაუმტკიცებია. ერთის სიტყვით, ჩვენი სოფლის საქმე კარგად მიდის და თუ ერთი შეგნებული მამასახლისიც ვიშოვეთ, უფრო კარგი იქმნება, თორემ შენი მტერი ჩვენის მამასახლისისაგან შევიწროებულნი ვართ.

აქაური.

## ნაწყვეტი.

—

რას ვაქნევ იმა ცოდნასა,
თუ მექმნა დაფარულადა
და მით ქვეყანას ვერ ვარგებ
მე მარად მეგობრულადა,
რას ვაქნევ, თუ მის წყალობით
გული მექმნება წყლულადა
და ვერ ვიხმარებ იმასთან,
ვინც მომეპყრობა მტრულადა.

დ. ნინოწმინდელი.

## აჭარა

(შემდეგი *)

54. ზვარე. 40 კომლი. არის ნასაყდრალი. აქ სცხოვრებდა უმეტეს ნაწილად ყაჩაღი ჩახალ-ოღლი ზვარელი, ეს ყაჩაღი სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის დროს სცხოვრებდა. ამ გამოჩენილმა ყაჩაღმა კინაღამ სელიმ ფაშას უფლება წაართვა ხელიდგანა და თვითონ დაიჭირა. ამ ყაჩაღის შესახებ მაშინ აქ ლექსებიც გამოუთქვა ქართველთ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე შავიშვილმა, რომელიც ს. ვაშლოვანში სცხოვრებდა.

ლექსი ასე იწყება:

„ჰეი გიდი ჩახალ-ოღლი ერთ-ხანად გიქროდა ქარი,
შემოიღევი ოლქობა, ხომ არ ქენი კაი ქარი,
ფაშას ყულე დეუნგრიე, სასახლეს გაუღე მხარი,
სელიმ ფაშამ რომ შეიტყვა, ხომ შეიქნა ჰერსით მთვრალი“.

და სხ. ჩახალ-ოღლი სელიმ ფაშას გარდა სხვა-და-სხვა ალიებსა და ბეგიებსაც ებრძოდა თურმე. გარდა ყაჩაღობისა ეს იტაცებდა, ყიდულობდა გურიიდგან გოგო-ბიჭებს და ამათ ტრაპიზონსა და სტამბოლში ჰყიდდა კარგ ფასად. აჭარაში დიდად აქებენ ჩახალ-ოღლი ზვარელს. აქვთ ჯამე და ჯამეს გვერდით სასწავლებელი. ხოჯა ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

55. ზუზოფელი. 40 კომლი. ამ სოფლის ეკკლესია მეტად მაღალს მთაზედ ყოფილა. ქელას ყურის მთის წვერების გასწვრივ. ახლა აღარაფერია, თავის დროს დაუქცევიათ და მასალა ჯამესთვის უხმარებიათ. აქ ქართულს კითხვას შეეჩვივნენ. ძველად დანდალოდგან მოყოლებული აქამდის მაჰმადიანთ ავალიანთ საბრძანებელს შეადგენდა. ჯამეს გვერდით სასწავლებელია და ხოჯა ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

56. გულები. 46 კომლი. მშვენიერი სოფელია და ისეთს ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოდ ქელასყურის მთის ახლოს ძველად ეკკლესია ყოფილა, სადაც აჭაურები დადიოდნენ სალოცავად. ამ ეკკლესიის ნანგრევი დღესაც სჩანს. ერთის მხრიდგან ჩასავალიცა აქვს. 15 წლის წინად იმ ჩასავალში ერთი ქართველთ მაჰმადიანთ ქალი ჩასულა, იქ გზა შეშლია და შიშით ჭკუაზედ შემცდარა, შემცდარი ქალი მალე მომკვდარა, მას შემდეგ ამ ეკკლესიის მლოცველობას ქართველთ მაჰმადიანები აღარ ეკარებიან, ეშინიანთ. ზოგნი ამბობენ, რომ იქ დიდი მღვიმეები არის და შიგ ფირალები სცხოვრებენო. აქ მოსახლობენ დიასამიძენი. ამათთაგანი ერთი მოლად არის, ახალ-გაზდა კაცი, ქართული კითხვა ისწავლა. ერთმა მოხუცმა დიასამიძემ შემდეგი მიამბო: ჩვენში ძველად ქართული გძელ სახელოებიანი ჩოხები ეცვათ კაცებს,

*) იხ. „ივერია“ №

---

წინაალმდეგეთ...

ვარლამი. (მოეხვევა სიხარულით) ოჰ, ჩემო სევასტი, გმადლობ...

სევასტი. შარაპეთისა და რაჭულეთის მაზრაც ეხლა ჩვენს მხარეზეა... ხვალისთვის უთუოდ ჩამოვრეკ აქ მეკენჭეებს... ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, ბატონო ვარლამ, როგორ ვეწამე ეს ერთი კვირაა: — ჩემს თვალებს ერთი წვეთი ძილი არ ჰღირსებია, ტყუილად ტანსაც არ გამიხდია... მომაბეზრა თავი მაგ ბაიყუშ მეკენჭეების ჩიჩინმა... თუ გაჟინიანდნენ, ხომ მოგეხსენებათ ბატონო, რა საშინელი ხალხია: თუ მიასვეს ფეხი ერთს ადგილს, მშვიდობით, ვერ დასძრავ ვერაფრით, სანამ იმ დალოცვილს წითელს ბილეთს არ დაანახვებ... ამ ბილეთის წინაშე-კი ერთობ სუსტნი გახლავან ჩვენი თავ-მომწონე თავადაზნაურები...

ვარლამი. ხა, ხა, ხა! რა კარგად ამბობ, ჩემო სევასტი! ნამდვილი პსიხოლოგი ხარ! შენი ერთგულობა მე ყოველთვის მწამდა... თუ გავიმარჯვე, იცოდე, ჩემს გულში პირველი ადგილი შენ გეკავება... რა გვიშავს, დავსხდეთ და ერთად ვმართოთ ქვეყნის საქმე!.. მაგრამ თუ გამაშავეს, მაშინ-კი ხომ იცი, დამბაჩა უნდა ვიკრა შუბლში!..

სევასტი. ღმერთმა ნუ ქნას, ბატონო! ვის შეუძლია თქვენი გაშავება? ეხლა მხოლოდ ოზარეთის მაზრა-ღა გვაკლია... თუმცა ძალიან ჯიუტობენ იქაური მეკენჭეები, მაგრამ იმათაც ვიშოვი ღვთის შემწეობით... ტყავს გავიძრობ და ვიშოვი! უკვე გაგზავნილი მყავს კაცები და ხვალ ყველაფერს შევიტყობ... ფიქრი ნუ გაქვთ: გამარჯვება ჩვენია... მაგრამ ხვალ-კი ძალიან სიმარჯვე გვმართებს; ძალიან უნდა გავუმასპინძლდეთ მეკენჭეებს...

ვარლამი. ნუ დამზოგავ ნურაფერში, ჩემო სევასტი... ხარჯს მე არ შევუშინდები, ურიის ვალსაც ავიღებ, ოღონდ-კი გავიმარჯვო... აბა, ეხლა წავიდეთ და შევუდგეთ სახვალიოდ მზადებას... ათი ზუთხი და ოცი საპალნე ღვინო მაქვს დაბარებული (გადიან).

გამოსვლა მესამე.

მენიკო (მარტო).

მენიკო. წავიდნენ... ღმერთო რა საშინელს ადამიანებში ვარ! მცივა, ვცახცახებ... თითქოს მგლებით ავსილაო მთელი ქვეყნიერება!.. ერთი ადამიანი არ არის, რომ გაიგოს ჩემი ტანჯვა, ჩემი წამება.. (ჩაფიქრდება და მერმედ მტირალის ხმით კითხულობს)

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ ალმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი?
მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?“

(ამ ლექსის კითხვის დროს შემოდის დაგლეჯილის ტანისამოსით მელიტონი და კარებთან გაჩერდება; მენიკო რომ გაათავებს კითხვას, დაუყრდობა მკლავებს და ქვითინებს).

გამოსვლა მეოთხე.

მენიკო და მელიტონი.

მელიტონი. მენიკო! მენიკო!

მენიკო. (შეჰკივლებს) მელიტონ შენ! არა, ეგ შეუძლებელია!.. ეგ სიზმარია!.

მელიტონი. რა გემართება, ჩემო მენიკო? ნუ თუ ვერ მიცანი შენი მელიტონი?!

მენიკო. მელიტონი! მერე რამ გამოგცვალა ეგრე?! რას ნიშნავს ეგ დაფლეთილი ტანისამოსი?! (მოეხვევა და ქვითინებს).

მელიტონი. გთხოვ დამშვიდდე, ჩემო მენიკო, შენ ვგონებ ავად ხარ?

მენიკო. ავად? ვინ გითხრა? არა, მე ავად არა ვარ!

მელიტონი. როგორ თუ არა? კაცის ფერი არა გდევს და საშინლად გამხდარი ხარ!..

მენიკო. მე?.. ავად?.. არა, ჩემო კარგო, მე ავად არა ვარ.., უწინ ვიყავი მართალია... ეხლა... ეხლა-კი სრულიად კარგად ვარ... ხომ ჩემო კარგო? ხომ გჯერა? იცი, ჩემო კარგო, რომ მე გავთხოვდი?

მელიტონი. კარგი გიქნია... დროც იყო..

მენიკო. კარგი მიქნია! მაყვედრი განა! დამცინი განა!

მელიტონი. სრულიადაც არა: მე შენ გულ-ახდილად გელაპარაკები...

მენიკო. მერე იცი ვის წავყევი? ელიაძეს... იმ ელიაძეს, რომელიც შენ ეგრე გეჯავრებოდა... როგორ მოგწონს ჩემი საქციელი? გიკვირს განა?? შემიყვარდა ელიაძე და რას ვიზამდი? ხომ შემიყვარდებოდა?

მელიტონი. რატომ არა? დაუჯერებელი რა არის? დროს ყველაფერი შეუძლია: უთუოდ გამოიცვლებოდა ელიაძე, ან შენ შეგეცვლებოდა შეხედულება საზოგადოდ ცხოვრებაზედ და კაცებზედ...

მენიკო. და ამ ცვლილების ძალით შენი დავიწყებაც შემეძლო განა?! შენ ხომ ეგრე ჰფიქრობ? სთქვი, ჩემო კარგო, სთქვი... ხომ შენც შეგეძლო ჩემი დავიწყება, ჩემი შეძულება?

მელიტონი. არ ვიცი...

მენიკო. ხა! ხა! ხა! არ იცი! შენ გჯერა, რომ დაგივიწყებდი!... მართალია, მართალი, ჩემო კარგო!... მე შენ სხვაზედ გაგცვალე... ელიაძე შევიყვარე... (ხვლა მოერევა).

მელიტონი. ღმერთო ჩემო! მგონია, საცოდავი დაჰლექებულა! მენიკო, მენიკო, დამშვიდდი, — შენ ავად ხარ!...

მენიკო. მე?... ავად? სრულიადაც არა! მე ძალიან კარგად ვარ!.. აწ უფრო კარგად ვიქნები!...

მელიტონი. რაღაც საშინლად ახველებ, მენიკო!..

მენიკო. ოოო, ეგ არაფერია, ჩემო კარგო, გაივლის! ცოტა სიხარულმა შემისწრო და იმის მიზეზია... შენ ამაზედ ნუ სწუხარ... მე კარგად ვიქნები... (ხელს მოჰხვევს მელიტონს და ჩააცქერდება თვალებში) რად ხარ ეგრე ნაღვლიანად, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო? ა?

მელიტონი. (უკან იწევს) რას ჩადიხარ, მენიკო, როგორ მეხვევი? შენ გავიწყდება მგონია, რომ გათხოვილი ხარ!..

მენიკო. (შეკრთება. შენ უკან იხევ!.. ახლოსაც არ მიკარებ! მრისხავ!.. გეზიზღები განა! ხომ, ჩემო კარგო? ჰო, ჰო, შენ მართალი ხარ!.. მე შენდა უკითხავად გავთხოვდი... მე ყველასთვის საზიზღარი უნდა ვიყო... დიაღ, საზიზღარი... საძაგელი... (ხვლა მოუვლის).

მელიტონი. ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! მენიკო, დამშვიდდი. სიცოცხლეს ნუ იმოკლებ!

მენიკო. არა... სრულიად არა... მე კარგად ვარ... მე მოსაკვდავი რა მიჭირს?! ოღონდ შენ ნუ.. შენ ნუ გამრისხავ!.. მაპატიე, მელიტონ, რომ გავთხოვდი... მუხლ-მოდრეკით გევედრები... (უნდა დაიჩოქოს, მაგრამ მელიტონი არ დაანებს) ღმერთს ენდე, ჩემი ბრალი არ იყო, ძალით მელიტონ, ძალით! (ქვითინებს).

მელიტონი. მენიკო, დამშვიდდი,

თავზედ მაღალი ბუხრის ქუდი ეხურათ, განიერი შარვლები ეცვათ, ფეხზედ თეთრი ტყავის წაღები, წაღებს წინ გძელი წვერები ჰქონდათ. წაღებს თითბრის ღილებით შეიკრავდნენ გვერდებზედ. ახლანდური ტანთსაცმელი ლივანაში და გურიაში იცოდნენ, ჩაბალახები იქიდამ შემოვიდა ჩვენში.

ასე 1810—20 წლებში. ოსმალებს ჰსურდათ, რომ ქალებშიაც შემოეტანათ სხვა-და-სხვა ნაირი ტანთსაცმელი, მაგრამ ეს მალე ვერ მოუხდათო. ერთხნობით ქალები ფესის ტარებას-კი შეაჩვიესო, მაგრამ ეს მალე გადავარდაო. თუთუნის თესვა აჭარაში მაჭახლიდგან შემოვიდაო. ნარდის თამაში ჩვენში ძლიერ იშვიათი იყო, ქაღალდის თამაში-კი იცოდნენო. ჩვენში ყომარი იცოდნენ, ჭიდილი, ცეკვა და სიმღერებიო. ამ სოფელში წერა-კითხვა მოიფინა, თითქმის პირველია ეს ამით აქაურს სოფლებში. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს და ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

## მავნე ჩვეულებანი.

ჩვენს ერსა და სოფლებში მრავალი საზარელი და გამათახსირებელი ჩვეულებაა დარჩენილი. აი ერთი ამგვარ ჩვეულებათაგანი, რომელიც ამას წინად გადმომცა მე ერთმა ჩემმა ნაცნობმა. იმერეთში ზოგი-ერთს სოფლებში ჩვეულებად ყოფილა, რომ თუ ოჯახში ჭლექით დაავადებული არის ვინმე, მას მეტად უზნეოდ და უკაცურად ეპყრობიან. როდესაც ამ სენით შეპყრობილს გული შეუწუხდება და ჭირისუფალთა ფიქრით იგი უკანასკნელს მდგომარეობაშია, მას ამ დროს შემწეობის და შველის მაგიერ ჩამოაცვამენ თურმე თავზედ გუდას, პირს ჰყლინტის ყველით ამოუვსებენ ხოლმე, რადგანაც სწამთ, რომ ამ სახით გარდაცვალებულის ავადმყოფობა სხვას არ გადაედებაო. ყოველი ეს ხდება ფარულად, რადგან ამასთანავე იციან, რომ ამგვარი საქციელი, ესე იგი ძალით დარჩობა კანონით აღკრძალულია. ნეტა ვიცოდეთ, ნუ-თუ ეს მართალია და რამდენად გავრცელებულია იგი? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ ეს ამბავი, და თუ მართალია, მაშინ რაღა გვეთქმის ამის მეტი, რომ ყველაფერი უმეცრების ბრალია!

ჩვენში საზოგადოდ გადამდებ სენით შეპყრობილებს მეტად ავის თვალით უცქერიან. ხშირად ამგვარის სენით ავადმყოფი სრულიად უმწეოდ, ღვთის ანაბარად გდია თავისს ჭირისუფალთაგან მიტოვებული. ცოდნის უქონლობის გამო ხშირად სრულიად არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ამისთანა გარემოებას, რომელსაც მართლაც შეუძლიან გააჩინოს გადამდები სენი, რომელიც მიზეზია გადადებისა და იმავე დროს ერიდებიან იქ და იმას, სადაც და რის მორიდებაც მეტია. მორიდება, გაფრთხილება, ზრუნვა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელსაც არ შეეყაროს რომელიმე სენი, სწორედ მოსაწონია და დიაღ, დიდად საჭირო და სასარგებლო, მაგრამ მორიდებაც არის და მორიდებაც. საჭიროა გაფრთხილება საზრიანი, საფუძვლიანი და არა ისეთი რეგვენული, რომელზედაც ზემოდ ვსთქვით.

ჩვენს სოფელს კიდევ ბევრი სხვა მავნე ჩვეულებანი შეუნახვს აქამომდე, რომელნიც ხელს უშლიან მისის ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეთა წარმატებას. აგეთი ჩვეულებანი მრავალია. ჩვენ მათს ჩამოთვლას არ შევუდგებით, დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. ძველი სარწმუნოებრივი ჩვეულება—ქელეხი მიცვალებულზედ, ან ქორწილი, რომელნიც არა ერთხელ ერთიანად ანადგურებენ სოფლის მკვიდრის ყოფა-ცხოვრებას. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხკაცი ვალში ვარდება და ქელეხს თუ ქორწილს მაინც გარდიხდის. ერთი მავნე ჩვეულება ამაოდ მორწმუნებითვე გამოწვეული ის გახლავთ, რომ ბევრგან სოფელში კვირა-უქმეების გარდა დღესასწაულობენ კიდევ ყოველ კვირა რომელიმე დადებულს დღეს, რის წყალობითაც სულ უნაყოფოდ იკარგება მუშის ძალა. როგორც საჭიროა მიწის მუშა გლეხკაცისათვის მოსვენება ხანგრძლივ მუშაობის დროს ძალის აღსადგენად, ისე საზარალოა მისთვის გადაჭარბებით და ტყუილ-უბრალოდ უქმობა. არ შეგვიძლიან აქვე არ დავასახელოთ ერთი ჩვეულებაც, რომელიც გავრცელებულია ჩვენს მთის ხალხში: მთიულები მშობიარე ქალთ უყურებენ როგორც მავნე სულს, უწმინდურს არსებას, რომელსაც შეუძლიან ოჯახი წაბილწოს. ამიტომ, მოახლოვდება თუ არა მშობიარობის დრო, ქალს გარდაიყვანენ სახლს გარეშე განსაკუთრებით მისთვის დანიშნულს სადგომში, სადაც მელოგინე ქალი სრულიად უპატრონოდ, უყურადღებოდ მიტოვებულია მარტოდ-მარტო რამდენიმე ხანი. აღარას ვამბობთ მარჩიელ-მკითხველებზედ, რომელნიც თავისის თუ მატყუვრობისა, თუ უცოდინარობისა გამო არა ერთსა და ორს ისტუმრებენ წიაღსა შინა აბრაამისასა. შეგვეძლო გაგვეხსენებინა მკითხველისათვის კიდევ ბევრი სხვა მავნებელი ჩვეულებანი, მაგრამ საკმარისია კარგად გავითვალისწინოთ ნათქვამიც, რომ მეტად არა სასურველი შედეგები დავასკვნათ. რა თქმა უნდა, ყველა ამგვარი ჩვეულებანი ან აღატაკებენ ხალხს, ან ზნეობრივად ხრწნიან, ან მის რაოდენობას ამცირებენ და სხ. და სხ. ამგვარ ჩვეულებათა მოსასპობად საჭიროა ბრძოლა ხალხის უმეცრებასთან, წყვდიადად მოსილს სოფელში სინათლის შეტანა, სხვა-და-სხვა სასარგებლო ცოდნათა და საზოგადოდ სწავლა-განათლების გავრცელება. ისიც ვიცით, რომ სადაც კი გაიმართა ამგვარი ბრძოლა, ყველგან სასურველს შედეგს მიაღწიეს და ეს ხომ უფრო მეტად უნდა ამხნევებდეს მებრძოლთ. ვის აწევს ეს მოვალეობა ბრძოლის გაწევისა? სოფელში მყოფს შეგნებულს ნაწილს—მასწავლებლებს, მღვდლებს და სხვა ცოტად თუ ბევრად განათლებულებს. განა საბრძოლველად არა ღირს ის ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენ ზემოდ დავასახელეთ? განა დანაშაულს არ სჩადიან ისინი, რომელთაც ესმის მათი მავნებლობა და არ-კი არწმუნებენ ხალხს მათს მავნებლობაში, არ იღებენ არავითარს ღონისძიებას მათ მოსასპობად, როდესაც ეს ღონისძიება მათს ხელშია? გამომჟღავნება და დაგმობა ყოველ მისთანა საზარელ ჩვეულებისა, რომლის მაგალითი ჩვენ ამ წერილის დასაწყისში გარდავეცით მკითხველებს, არამც თუ სრულიად არ შელახავს ჩვენს ნაციონალურ თვით მოყვარეობას, არამედ ყოველთვის დიდად საქებარ და სავალდებულო საქმედ უნდა მიაჩნდეს ყველა იმას, ვისაც, რასაკვირველია, წარმატება „ყველაფერ თავისის“ დაცვა არა ჰგონია. ბევრი ისტორიული მაგალითი შეიძლება დაასახელოს კაცმა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ეს თუ ის ზნე-ჩვეულება, ეს თუ ის მხარე ნაციონალურ ხასიათის არამც თუ უსარგებლოა ერისათვის, არამედ დიდად და დიდად მავნებელია. ოდესმე ძლიერი აღმოსავლეთის ქვეყნები, უკანასკნელი ხანა ძველის საბერძნეთისა და რომისა ნათლად ამტკიცებენ ჩვენს ნათქვამს. დაცვა და განვითარება ეროვნულ ცხოვრებისა მხოლოდ კარგ, სასარგებლო გარდმოცემათა მამა-პაპათაგან ერთის მხრივ და გონივრული შეთვისება ახალ მხარეებისა, დროისა, ადგილისა და საზოგადოდ თანამედროვე ცხოვრების სხვა პირობებთან შეფარდებით—ეს არის წარმატების ჭეშმარიტი ფორმულა.

გრ. გველესიანი.

## რუსეთის ცხოვრება.

სახელმწიფო რკინის გზებმა 1894 წელს სულ გაიარეს 80,081,000, ვერსი. 2,398,425 მატარებელი იყო დატვირთული საქონლით. 23,723,000 მგზავრი გადაიყვან-გადმოიყვანეს. 12,653,000 ფუთი ვადიანი, 1,994,288,000 ფუთი საჯარო და 332,052,000 სხვა-და-სხვა მმართველობის საქონელი გადიტან-გადმოიტანეს. წმინდა შემოსავალი სულ 176.164,894 მანეთია, ე. ი. ვერსზედ 12,046 მანეთი. გასავალი 97,045,294 მ., ე. ი. 6,636 მანეთი და 3 კაპიკი ვერსზედ.

—

პეტერბურგში პოლიციამ აღმოაჩინა მწვალებელთა საზოგადოება, რომელსაც სახელად „სულიერი ქრისტეანენი ეწოდება. ესენი უარს ჰყოფენ სამღვდელოებას, ქორწინებას, ხორცის ჭამას, ღვინისა და არყის სმას, პაპიროსის წევას და დიდადა სძულთ ისინი, ვინც მათს საზოგადოებას არ ეკუთვნის. ამ საზოგადოების დამაარსებელი გლეხი რიაბინოვი ყოფილა.

—

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ იაპონიის გამარჯვებამ და სიმონოსეკში მოხდარმა ზავის პირობებმა ერთობ ცხარედ აალაპარაკა ზოგიერთი რუსეთის ჟურნალ გაზეთები და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მათ შორის. ამ ჟურნალ გაზეთებში ყველაზედ

---

თორემ მე მეტი არ შემიძლიან... ავდგები და წავალ...

მენიკო. ნუ, ჩემო კარგო, ნუ წახვალ.. მომიტევე... მე თვითონ არ ვიცი, რას ვჩადივარ... ეგ არაფერია... დავანებოთ თავი ამაზედ ლაპარაკს... აბა ეხლა მომიყევი, სად დაიკარგე, რომ ამდენი ხანი შენი არაფერი ისმოდა? რამ გამოგცვალა აგრე? უთუოდ ავად იქნებოდი?... კიდეც ეგრე სთქვეს აქ...

მელიტონი. ავად? არა, ავად არა ვყოფილვარ... (სივრცეში მიაპყრობს თვალებს).

მენიკო. მელიტონ! მელიტონ! რა საშინელი თვალები გაქვს!... თითქოს ცეცხლს აფრქვევნო!...

მელიტონი. რა შესადარებილია, ჩემო მენიკო, სხეულის ავადმყოფობა იმ ტანჯვა-წვალებასთან, რომელიც მე გამოვიარე!... იმ საშინელს ტანჯვას თვით ჯოჯოხეთიც შეუშინდებოდა... ოოო, რომ შეგეძლოს მენიკო ჩემს გულში ჩახედვა, შეგზარდებოდა, შიში შეგიპყრობდა!... ათას ადგილს სულ ერთიანად დასერილია იგი!... სამართებლით არის დასერილი, სამართებლით!...

მენიკო. კარგი მელიტონ, ნუ მტანჯავ!...

მელიტონი. მიკვირს, როგორ გადავურჩი მე ამ ტანჯვას!... კაცს ბევრის ატანა შესძლებია!.., მაგრამ რაღა სიცოცხლეა? ცოცხალს რა მიგავს?! სახე-ღა შემრჩენია კაცისა!.. ის-კი, რაც კაცს ამშვენებს, რაც მის დიდებას შეადგენს—ყოველივე დაუბრუნებლივ დავკარგე... ის აღარ არის შენი მელიტონი, რაც განახავს: მისი ზნეობრივი ძალა, მისი შეურყევლობა, თვით ის ამირანის ცეცხლი, მენიკო, რომლითაც მას ეგრე მოსწონდა თავი,—ყოველივე ეს მან იმ ერთს საქმეს შეალია... დღეს მე ლანდი-ღა ვარ, ლანდი!... ხა-ხა ხა! ყველა ჩემს ამხანაგებზედ უფრო შერცხვენილი! (ხამეტან მღელვარების გამო სიტყვას თქმას ვერ ახერხებს).

მენიკო. (ხელს მოხვევს) რა გემართება: მელიტონ? დამშვიდდი...

მელიტონი. მენიკო, მე და ჩემმა თანამოაზრე ამხანაგებმა განვიზრახეთ საქმე... ჩვენ ვიბრძოდით, ჩვენი სასოება სიმართლისათვის... ამ შეგინებულ სიმართლის აღსადგენად, მის დასაცველად ომი გამოვუცხადეთ მთელს ქვეყანას... ბუკი დავუკარით... ჩვენ ვიკისრეთ აბუჩად აგდებულის ღატაკ-ოხრების წინამძღოლობა... ჩვენ ვამხილეთ ამ ღატაკ-ოხრებს, ვინც არის მათი უბედურების მიზეზი. ჩვენ მათ გავუმჟღავნეთ, რომ ერთს შორეულს ადგილს არის სამეფო ვეშაპებისა... ამ ვეშაპებს კაცის სახე მიუღიათ და კაცურად გამოწყობილან; აუარებელის სიმდიდრით ბრწყინავს ვეშაპების სამეფო: ოქრო და ვერცხლით არის შემკული იქ მთა და ბარი. შუაგულ ქალაქში მოჩანს ვეებერთელა ოქროს ციხე, რომელშიაც არის მოთავსებული მთელი ღატაკ-ოხრების ნაწვავნადაგი. აი, ამ ციხისკენ მოგვყავდა ჩვენ ღატაკ-ოხრები..... გვწამდა ჩვენ, რომ გამარჯვება ჩვენი იქნება—და, თუ ღატაკ-ოხრები თანხმად და შეურყეველად გამოგვყვებოდნენ მისთვის თავ-გამოდებულს წინამძღოლებს... გაისმა შორიდგან ხალხის სრიალი და თვალს წარმოუდგა შესაშინებელი სანახაობა: თითქოს მთელის დედამიწის ჭიანჭველების ბრბო კაცებად გადაქცეულა და მოდის ქვეყნის წასალეკადაო,—ეს აუარებელი შავი ხალხი მოგორავდა თოვლის ზვავით; თოფ-იარაღის მაგიერ ის დაიარაღებულიყო თოხებით, ნიჩბებით, ბარებით და სარებით... ჩვენ მათ წინ მივუძღოდით... მივუახლოვდით იმ ადგილსა... გამოჩნდნენ ოქროს კოშკები და პალატები ბროლ მარგალიტით შემკულნი, გამოჩნდნენ ძვირფასი შადრევნები; ოქროს ქუჩებზედ მარდად გარბოდნენ ოქროს ეტლები ოქროს სირმით გაწყობილის ცხენებით...შუა გულ ქალაქში გამოჩნდა ოქროს ციხე, რომლის კარებზედ ბრწყინვალე ალმასის ანბანებით ეწერა: „ქვეყნის დიდება და ძლიერება“; გარს ეხვია ციხეს რაზმი ოქროში ჩამჯდარ დარაჯებისა... აჰა, დაეძგერნენ კიჟინით ციხეს ღატაკ-ოხერნი... ერთი წამი კიდევ და ისინი თავისს ნაწვავნადაგს დაიბრუნებენ... ამ დროს უცებ შეჩერდა ეგ აუარებელი ჯარი და უკან დაიძრა: მის თვალწინ გამოჩნდა მსხვილ-მუცლიანი ვეშაპების თავი ოქროს ქუდით და ტანისამოსით; მხარს უმკობდა მას დიდებული ამალა, შეჩერდა ის გამხეცებულ ჯარის წინ, შეჰმუხნა შუბლი და მრისხანედ დააბრიალა თვალები... საბრალო ღატაკ ოხრებმა ვერ გაუძლეს მის თვალებს, დაფრთხნენ და, როგორც ერთი კაცი, გაჰქუსლეს უკან... ბრძოლის ველზედ დავრჩით ობლად ჩვენ-წინამძღოლნი... მოვიდა ვანკითხვის დღეც... დაგვიბარა მსხვილ-მუცლიანმა ვეშაპმა... ის ტახტზედ იჯდა მუხლ-მოკეცილი და ყალიონს ეწეოდა... რომ მივედით, ერთი დაცინვით გადმოგვხედა ყველას და სიამოვნებით გაიღიმა... მერე... ხა, ხა, ხა!.. მერე... სხვებისთვის ხმა არ გაუცია, მხოლოდ მე დამიქნია თითი და მიხმო ახლოს... ერთი საშინლად გადიხარხარა და მერე მომიბრუნდა: შენც, შენც სასაცილო მასხარავ, ჰბედავ ჩემს წინააღმდეგობასაო?! შენც ერევი საზოგადო ქვეყნის საქმეშიო?! შენც თავი მოგაქვს სხვებთანაო! ფუ, შემიფურთხებია შენი ვაჟკაცობისთვისაო! და შემაფურთხა თვალებში... აბა, შეჰხედე, შე მასხარავ, თუ ჯაჭვით არა ხარ შეკოჭილი ხელიან-ფეხიანათო! საქვეყნო საქმეში გარევას არ გირჩევნია მაგ ჯაჭვიდგან გაინთავისუფლო თავიო! (შეჰყვირებს) შეჰხედე, რაღას უყურებო?! ეს მითხრა და ორივ ხელებით მაგრად შემანჯღრია... რომ შემანჯღრია... ხა, ხა, ხა! იცი, მენიკო, დაიჩხრიალა ბორკილმა!.. თურმე მართლა შეკრული მქონოდა ხელ-ფეხი!.. მაშინ ვიგრძენ, მხოლოდ მაშინ მისი სიმძიმე!.. ეხლაც ვგრძნობ! ხა, ხა, ხა! (სივრცეში მიაპყრობს თვალებს).

მენიკო. ღმერთო, რა ემართება! (ხელს მოჰხვევს) მელიტონ, მელიტონ, დამშვიდდი! საშინელი თვალები გაქვს, მეშინიან...

მელიტონი. რის გეშინიან, ჩემო კარგო? (შეარყევს მაგრად) ხა, ხა, ხა! გესმის? გესმის თუ არა? შენც, შენც ბორკილი გდე ია ხელ-ფეხზედ!.. ხომ ხედავ, ხომ გესმის ბორკილის ჩხრიალი? ხა, ხა, ხა!

მენიკო. ვაი, ჩემს თავს, მართალი ყოფილა, რაც სთქვეს, მართალ!.. მელიტონ, ჩემო სასოებავ, შენ მართლა ავად ხარ!.. მაგრამ მე ვეცდები, რომ შენ კარგად შეიქნე... ჩემს თავს, ჩემს სულს შენ შემოგწირავ, ჩემო ანგელოსო, ჩემო ღმერთო!.. (დაუჩოქებს, კალთაში ჩაუდებს თავს და ქვითინებს).

(ფარდა.)

ილ. პონტელი.

(შემდეგი იქნება).

უფრო მკაცრად „მოსკოვის უწყებანი“ მიეგება იაპონიის გამარჯვებას. ჩვენ ყოველ-გვარი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იაპონიამ არამც და არამც არ დაიჭიროს ჩინეთის მიწა-წყლის ნაწილი, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში იაპონიამ რაიმე ხერხს მიჰმართოს: მაგალითად ვიდრე ჩინეთი სამხედრო კონტრიბუციას გადაიხდიდეს, შესაძლებელია იაპონიამ ჯარები არ გაიყვანოს და ის ადგილები გირაოდ დაიკავოს და შემდეგ სულ დაისაკუთროს, ამიტომ ამის ნებაც-კი არ უნდა მივცეთო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „Matin“ იტყობინება, რომ იაპონიას ჰსურს მოლაპარაკება სამთა სახელმწიფოთა პროტესტის, შესახებ ამ სახელმწიფოთა დედა-ქალაქებში—პეტერბურგს, ბერლინს და პარისს—გადიტანონო. თუ ეს მართალია, ამაზედ უკეთესს საქმის გაჭიანურებისათვის იაპონია ვერას მოიგონებდა. გარდა საქმის გადადებისა, იაპონიას ის იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ შეიძლება დროებით შეკავშირებულ სამ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება რამ ჩამოაგდოს. შეუძლიან თუ არა იაპონიას შეასრულოს ეს თავისი განზრახვაო, იკითხება გაზეთი „მოსკოვის უწყებანი“ და დაბეჯითებით ამბობს, რომ ყოვლად შეუძლებელი საქმე განუზრახავსო იაპონიას და მოჰყავს შემდეგი მოსაზრება თავის რწმუნების დასამტკიცებლად:

„ყოველს ამგვარს შემთხვევაში სახელმწიფონი წინდაწინვე სწყვეტენ ხოლმე, თუ რაში გამოიხატება მათი საერთო მოქმედება: მათ წინდაწინვე იციან, სანამდის უნდა გაგრძელდეს მათი შეკავშირება, მტკიცედ განსაზღვრული აქვთ, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს მათს პროტესტს და როგორ უნდა მოიქცნენ, თუ ვინიცობაა პროტესტმა ვერ გასჭრა. ასე რომ, იაპონია შემცდარია, თუ ჰგონია, რომ საქმის განგრძობით დააშორებს ერთიერთმანეთს სამს სახელმწიფოს, მით უმეტეს რომ ამ სახელმწიფოთა შორის დღეს სრულიად მშვიდობიანი განწყობილება ჰსუფევს.“

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ბეზუში მომხდარმა უბედურებამ იმსხვერპლა რამდენიმე კაცი. კედელი, რომლითაც ათის ვერსის სიგანეზედ წყალი იყო დაგუბებული, ზამთარში დიდის სიცივის გამო გაირღვა. წყალმა გადახეთქა იგი და საოცარის სისწრაფით წარღვნა მიდამო. წალეკა ოც-და-ხუთი სახლი და ტყე, რომლითაც ბეზუ ისაზღვრებოდა. დაანგრია რამდენიმე ხიდი, წისქვილი, სხვა-და-სხვა შენობები და გააფუჭა გზები. ჯერ არ იციან რამდენი კაცი იმსხვერპლა. „ჟურნალ დე დებატის“ სიტყვით-კი მსხვერპლი ასს სულს აღემატება. შინაგან საქმეთა მინისტრი ლეგი ბეზუში გაემგზავრა, რათა დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ, რომელთა სასარგებლოდ უკვე 50 გირვანქა ფრანკი შეიკრიბა.

—

**ინგლისი.** იმ კრებაზედ, რომელიც უნდა მომხდარიყო ოც-და-ხუთს აპრილს, სომეხთა საქმის შესახებ ოსმალეთში, მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს: „პარლამენტის რამდენმამე წევრმა, რამდენმამე პროფესორმა, რამდენმამე ეპისკოპოსმა. გლადსტოსონმა დანი სიამოვნებით ელისკრებას. თავისს წერილში, რომელიც ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ინგლისის გაზეთებში, იგი კმაყოფილებას აცხადებს, რომ მისი დიდის ხნის მეგობრები დუკი არგაილი და ვესტმინისტრი გულმხურვალედ ებრძვიან ოსმალთა მძვინვარებას.

—

ჟენევაში გაზეთ „ლე-ნორდის“ სიტყვით ამ დღეებში ტელეფონის აპარატთან შეაერთეს მუსიკის აპარატი. ეს მუსიკის აპარატი შესამჩნევად ამოკლებს დროს ტელეფონით მოლაპარაკეთათვის.

## თეატრის მატიანე *).

—

მრეცხელის ქალის როლს თამაშობდა ქ-ნი მარტინოვისა. არც ლაპარაკის კილოთი, არც მიხვრა-მოხვრით იგი არ ჰგავდა პარისელ ცქრიალა ქალს. სრულებით უადგილოა ამ როლში სამარის ან მოსკოვის გუბერნიიდგან გლეხის ქალის კილო. თუ ეს არტისტი-ქალი იწვევდა საზოგადოებისაგან ტაშს — ზოგიერთ სცენებში—ეს სრულებით მისი როლის ბრალია და არა თამაშისა. კატერინის როლი იმდენად ლამაზად, მოსწრებულად შეზავებულია, რომ არა თუ სცენაზედ ხმა-მაღლა სთქვათ, არამედ ოთახში წაკითხვითაც სიამოვნებას მოჰგვრის ადამიანს.

ცოტა უფრო მეტი ალაგი უნდა მივცეთ ნაპოლეონის როლის ამსრულებელს არტისტს ლიუდვიგოვს. გრიმის გარდა იგი სრულებით არ შეესაბამებოდა თავისს როლს. არტისტი დახტოდა სცენაზედ, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ხმა-მაღლა ხარხარებდა და ყვიროდა გულ-მოსული, როგორც მუშა. იგი უფრო, რომელიმე დეპარტამენტის უფროსის, ანა და რუსეთში მიკარგულის გუბერნიის გუბერნატორის როლს ას რულებდა და არა ნაპოლეონისას.

ცოტა რომ დაფიქრებულიყო არტისტი, წაეკითხა სხვა-და-სხვა პირების მოგონებანი და შენიშვნები ნაპოლეონზედ, მაშინ იგი ცოტათი მაინც მიემზგავსებოდა ამ ტიპს. ნაპოლეონი მიხვრა-მოხვრას, პოზებს—თვით ლაპარაკს—სწავლობდა თანამედროვე გამოჩენილ არტისტ ტალმასაგან და წარმოუდგენელია, რომ ტალმას თავისი მოვალეობა ისე ცუდად აესრულებინა, როგორადაც ეს ჩვენ ლიუდვიგოვმა დაგვიხატა. თანამედროვე მწერლები ამბობენ, რომ ნაპოლეონს— ყოველი ნაბიჯი, ხელის გაქნევა—ხმის აწევდაწევა გამოხედვა, ისრე განსაზღვრული და გამოანგარიშებული ჰქონდა, რომ სრულებით უადგილო იყო ლიუდვიგოვის ჩქარი სხაპა-სხუპით ლაპარაკი—რბენა სცენაზედ, ყვირილი!.. ნაპოლეონმა იცოდა ჩქარი ლაპარაკი, მაგრამ გარკვევით, მბრძანებ ლობის კილოთი. მთელს იმის იმპერატორების დროს ის თითქმის არავის უნახავს გაცინებული, ან გაღიმებული. სასახლის პირები ნაპოლეონს მეტს სახელს ეძახდნენ „კაცი, რომელიც არ იღიმება“! და ლიუდვიგოვი-კი ხარხარებდა. რაც უნდა გააფთრებით გული მოსვლოდა, ამ ყოვლად თავ-დაჭერილს კაცს, იგი ყვირილს-კი არ მოჰყვებოდა, არამედ თვალებში—სახეზედ შეატყობდით, რომ მოვიდა თქვენი უკანასკნელი წამი და თუ ამასთან დაგიწყებდათ ლაპარაკს იმ ხმით, რომელიც მიემზგავსებოდა ხან ადუღებულის წყალის ჩუხჩუხს, ხან გველის სისინს, მაშინ-კი ნამდვილად უნდა გამოსთხოვებოდი ამ წუთი-სოფელს! დამეთანხმებით, რომ ლიუდვიგოვს ხელიც არ გაუნძრევია, ამგვარად დაეხასიათებინა ნაპოლეონის როლი.

უნაკლულოდ, უბრალოდ, მოხდენილად თამაშობდა მინისტრის ფუშეს როლს ბ. სტეფანოვი.

დეკორაციები, ტანთსაცმელი და სცენის მოწყობილება ჩინებული იყო. საზოგადოდ პიესა მაყურებელთ ძალიან მოეწონათ!

კ. მესხი.

*) იხ. „ივერია“ № 87.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბატონ მაქსიმე სვანიძეს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებელს, რომელმაც არ დაიზარა და უსასყიდლოდ მიიღო თავისს თავზედ მოხსენებულ გალობის სწავლება ჩემს რწმუნებულს ოზურგეთის სამრევლო, საგანგებო სკოლაში.

ოზურგეთის სამრევლო, საგანგებო სკოლის მასწავლებელი ვლადიმირ მგელაძე.

22 აპრილი.

ქ. ოზურგეთი.

—

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც სუფსის სამრევლო სასწავლებლის დაარსებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და დახმარება აღმოუჩინეს. აი, დახმარების აღმომჩენელთა სია: თ. ვ. გურიელმა 10 მ., თ. ი. ნაკაშიძემ 5 მან., კირ. კოპლატაძემ 10 მან., ესტ. ჩხარტიშვილმა 40 მან., პ. ჯიჯეიშვილმა 2 მან., ს. სარიშვილმა 1 მან., გ. ათუხაზავამ 1 მან., ა. ცხადაძემ 1 მან., ბ. ბილიხოძემ 1 მან., ფ. გიორგაძემ 3 მან., ე. და ფ. ჭანიშვილებმა 2 მან., ს. ქარცივაძემ და კ. გორდელაძემ 3 მ., დ. გეწაღმაძემ 1 მან., ხ. სარიშვილმა 1 მან., ს. გოგოლაიშვილმა 2 მან., ი. ჩიკაზუამ 1 მან., გ. სარჯველაძემ 1 მანეთი, ვ. ხარაზბეგოვმა 1 მანეთი, კ. სარიშვილმა 1 მანეთი, დ. ავთანდილოვმა 1 მ., გ. ბარბაქაძემ 1 მ., კ. ხაფთასმა 2 მ., ა. ცენტერაძემ 2 მ., რ. ხუბუტიამ 1 მ, ა. სიობერიძემ 1 მ., გ. ჯიბლაძემ 1 მ., ქ. თალაკვაძემ 1 მ., ნ. ბერეჟიანისამ 1 მ., პროვიზორ გრიგოლიამ 1 მ., ა. გ. შარაშიძემ 2 მ., ს. ანთაძემ 50 კ., ი. გეწაღმაძემ 40 კ., რ. ქერეჯი-ოღლიმ 40 კ., პ. სიხარულიძემ 40 კ., ე. ტიკარაძემ 50 კ., ფ. ფარეიშვილმა 20 კ., მ. სარიშვილმა 50 კ., გ. თავართქილაძემ 50 კ. და კ. ხომერიკმა 40 კ. სულ 104 მ. და 70 კ.

სუფსის სამრევლო სასწავლებლის დამაარსებელი მღ. ბ. ჩხარტიშვილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 აპრილი.

**პეტერბურგი,** 25 აპრილს. ორშაბათს ხელმწიფემ პეტერბურგის ლაშქარი დაათვალიერა, რომელიც შესდგებოდა 23½ ბატალიონისა ქვეითი ჯარისა, 16 ესკადრონისა, 10 სოტნისა და 74 ზარბაზნისაგან. დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული ფაეტონით ბრძანდებოდა, რომელსაც ახლდნენ დიდნი კნეინანი მარიამ პავლეს ასული და ქსენია ალექსანდრეს ასული. დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული უქეიფობის გამო არ დასწრებია ამ შემთხვევას. შემდეგ ლაშქრის დათვალიერებისა ხელმწიფე და დედოფალი სამეფო სოფელს წაბრძანდნენ, ხოლო დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებითა და დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძით გატჩინოს წაბრძანდა.

გზათა სამინისტრო აცხადებს, რომ სრულიად უსაფუძვლოა გაზეთებისაგან დაყრილი ხმები, ვითომ დროებით კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს ადგილობრივი ციმბირის რკინის გზის გარემოება, გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ ციმბირის რკინის გზის კეთება უხეიროდ მიდიოდესო.

„ვაჭრობისა და მრეწველობის“ გაზეთი იუწყება, რომ კავკავის რკინის გზის გამგეობა შეუდგა პროექტის შედგენას, რომელსაც აზრად იქვს კავკასიის ქედზედ რკინის გზის გადმოყვანა და რუსეთის რკინის გზის შეერთება ამიერ კავკასიის რკინის გზასთან.

ამ პროექტის გამოსაკვლევად დანიშნულია კომისია, რომლის თავმჯდომარედ სალოვი არის.

**პარისი,** 24 აპრილს. იაპონიის ელჩმა შეატყობინა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ იაპონიამ შეისმინა საფრანგეთისა, რუსეთისა და გერმანიის მეგობრული რჩევა და უარი განაცხადა, რათა საბოლოოდ დაიჭიროს ლიანტონგის ნახევარ-კუნძული და აგრეთვე არტურის ნავთ-სადგური.

**ბერლინი,** 24 აპრილს. გერმანიის მთავრობას განუცხადა იაპონიის წარმომადგენელმა, რომ იაპონია უარს ამბობს ლიანტონგის ნახევარ კუნძულის დაჭერასაო.

**ბერლინი,** 26 აპრილს. მიუნხენს მივიდა ფერდინანდი კობურგისა და ბულგარიის მთავარ-მინისტრი.

**ლონდონი,** 25 აპრილს. „ტაიმსი“ ამბობს, რომ იაპონიისაგან უარის თქმა ლიატონგის ნახევარ-კუნძულისა იმ ერთი გარემოებაა, რომელმანც აღმოსავლეთ აზიას ომი ააშორა.

**იოკაჰამა,** 25 აპრილს. იაპონიის საიდუმლო საბჭოს წევრნი და წარჩინებულნი მიწვეულნი არიან დღეს კრებაზედ ლაშქრის მთავარ ბანაკში, კიოტოში.

**ნიცი,** 25 აპრილს. პარლამენტმა გაუჩინა მილანს პენსიად 360,000 ფრანკი და დაამტკიცა პროექტი, რომლის ძალით მეფის მშობელთ მიენიჭებათ ყოველი პირადი უპირატესობა ისე, როგორც თვით მეფეს.

პეტერბურგის ბირჟა, 27 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,41 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 210¼ | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 101⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99¾ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა.

**ბ. გვიბრელს.** თქვენი ლექსი „წვიმა“ არ იბეჭდება, რადგანაც ისეც შეგვაწუხა ამდენმა წვიმა-ავდარმა. კარგი იქ ნება ამისთანა ლექსები გვალვის დროს იწერებოდეს ხოლმე.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)


Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Апрѣля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე